

# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute



Sweden/შვედეთი

Sverige

## პოლიტიკის დოკუმენტი

---

### ფასების კონტროლი და მისი გავლენა ეკონომიკაზე

მარტი, 2023

ავტორები:

სალომე გელაშვილი

სალომე დენისაძე


შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი არის ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობა და არცერთ შემთხვევაში არ ასახავს შვედეთის პოზიციას.

## შესავალი

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში სურსათის ფასები იზრდებოდა და სურსათის ფასების ინფლაციამ ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია, რაც ძირითადად განაპირობებული იყო საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ტენდენციებით, რომლებზეც გავლენა იქონია წარმოების შემცირებით გამოწვეულმა მოლოდინებმა, ნავთობის ფასების ზრდამ და, ასევე, COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ზეწოლა გაზარდა სურსათის საერთაშორისო ბაზრებზე, სადაც ფასები უკვე ისედაც აღმავალი ტენდენციით ხასიათდებოდა.

2022 წლის მაისში საქართველოში სურსათის ფასები წლიურ ჭრილში მკვეთრად, 22%-ით გაიზარდა. შემდეგ სიტუაცია გარკვეულწილად დასტაბილურდა და წლის დარჩენილ თვეებში ფასების ზრდის საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა 16.5% შეადგინა (იხ. გრაფიკი 1). მთლიანობაში, 2022 წელს სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების კატეგორიაში შემავალი პროდუქტების ფასების საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 17.9% იყო. 2023 წელიც სურსათის ფასების ზრდით დაიწყო, თუმცა სურსათის ფასების წლიური ზრდის ტემპი შემცირდა და 15% იყო. სურსათის ფასების ზრდის მაღალი ტემპი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან საქართველოში შინამეურნეობების მთლიანი ბიუჯეტის თითქმის ნახევარი სურსათში იხარჯება: შინამეურნეობათა მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში სურსათის ხარჯების წილი 2019 წელს 43%-დან 2021 წელს 48.7%-მდე გაიზარდა (საქსტატი, 2023). შედეგად, სურსათის მაღალი ფასები მნიშვნელოვნად აუარესებს მოსახლეობის, განსაკუთრებით, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების ფინანსურ მდგომარეობას.

**გრაფიკი 1.** სურსათის ფასების ინფლაცია საქართველოში, 2010-2023 წწ.



წყარო: საქსტატი, 2023

შენიშვნა: წინა წლის შესაბამისი თვე =100

## მთავრობის ახალი ინიციატივა

პანდემიისა და უკრაინაში რუსეთის შეჭრის გამო, საქართველოს მთავრობა აღმოჩნდა დიდი გამოწვევის წინაშე – შეენარჩუნებინა დაბალი და სტაბილური ფასები სურსათზე. მიმდინარე მოვლენებმა ამ საკითხის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა, რადგან მოსახლეობა დიდი წნეხის ქვეშ მოექცა. მთავრობა შეუდგა მუშაობას აღნიშნული გამოწვევის გადასაჭრელად და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სურსათზე ფასების შემცირების მიზნით, მიმდინარე წლის დასაწყისში, თებერვალში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალა ახალი კანონპროექტის შემუშავება, რომლის მიზანია სურსათის ფასების დარეგულირება (Business Media Georgia, 2023). მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კანონპროექტი მუშავდება ევროკავშირის 2019 წლის 633-ე დირექტივის შესაბამისად, რომელიც ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

მთავრობის განცხადებით, კანონპროექტის მიზანია მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე პროცესების ოპტიმიზაცია, რამაც მოგების მარჟისა და ფასების შემცირება უნდა გამოიწვიოს (Business Media Georgia, 2023). მათივე განცხადებით, შემოთავაზებული კანონპროექტის მიზანი, ასევე, არის სურსათის ფასებთან დაკავშირებული რამდენიმე ძირითადი საკითხის გადაწყვეტა: მიწოდებლებისათვის გადახდის სტანდარტული პირობების დაწესება, რაც სავაჭრო ქსელში შესვლის გადასახადებსა და მარკეტინგულ ხარჯებსაც მოიცავს, მარაგების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის ხელშეწყობას, ე.წ. განმარტებითი რეტრობონუსების საკითხს და უკან დასაბრუნებელი პროდუქტების შესახებ სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებას. მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ზომები პირდაპირ ემსახურება პროცესების ოპტიმიზაციასა და მოგების ე.წ. გონივრული მარჟის შენარჩუნებას.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში საქართველოს მთავრობის ინიციატივას შევადარებთ ევროკავშირის დირექტივა 2019/633-ს, განვიხილავთ ფასების კონტროლის მექანიზმებსა და შევაფასებთ მათ პოტენციურ გავლენას საბაზრო ეკონომიკაზე. განვიხილავთ სურსათის ფასების შემცირების ალტერნატიულ გზებსაც.

## ევროკავშირის დირექტივა 2019/633 არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ


ევროკავშირმა გადადგა ნაბიჯები სურსათის მიწოდების ჯაჭვში არსებული არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მცირე ფერმერებსა და ოპერატორებს, მსხვილ და მცირე საწარმოებს შორის ძალაუფლების დისბალანსის გამო (European Commission, 2023). ეს პრაქტიკა ეწინააღმდეგება სამართლიანი კონკურენციისა და ვაჭრობის პრინციპებს. ფერმერებისა და მცირე და საშუალო საწარმოების უკეთ დასაცავად ევროკავშირმა მიიღო სავალდებულო წესები, რომლებიც კრძალავს გარკვეულ არასამართლიან სავაჭრო პრაქტიკას. 2019 წლის 17 აპრილს ევროპარლამენტმა დაამტკიცა ევროკავშირის დირექტივა 2019/633 სოფლის მეურნეობისა და სურსათის მიწოდების ჯაჭვში არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ. ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული

იყვნენ, 2021 წლის 1 მაისამდე დაენერგათ ეს ღირებულება ეროვნულ კანონმდებლობაში და 6 თვის შემდეგ დაეწყოთ მისი აღსრულება.

ღირებულება განასხვავებს ე.წ. „შავ“ და „ნაცრისფერ“ პრაქტიკებს (იხ. დიაგრამა 1). „შავი“ პრაქტიკა არის ისეთი ქმედება, რაც ყოველთვის იკრძალება, განურჩევლად გარემოებისა და გულისხმობს დაგვიანებულ გადახდებს, შეკვეთების გაუქმებას მოკლე დროში შეტყობინებით და ხელშეკრულებების პირობების ცალმხრივ ცვლილებას.

„ნაცრისფერი“ პრაქტიკა კი მოიცავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც დასაშვებია წინასწარი, მკაფიო და არაბუნდოვანი შეთანხმების შემთხვევაში. ეს მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორც დახლზე განთავსების საფასურის გადახდა და მარკეტინგული ხარჯებია, ოღონდ წინასწარ მკაფიოდ შეთანხმებული პირობებით, რომელიც არასამართლიან მდგომარეობაში არ აყენებს მიმწოდებელს.

**დიაგრამა 1.** „შავი“ და „ნაცრისფერი“ პრაქტიკა ევროკავშირის 633-ე ღირებულების მიხედვით



„შავი“ სავაჭრო პრაქტიკის აკრძალვითა და „ნაცრისფერი“ სავაჭრო პრაქტიკის მარეგულირებელი, უფრო მკაფიო ნორმების დაწესებით, ეს ღირებულება მიზნად ისახავს, სურსათის მიწოდების ჯაჭვში არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესებსა და ფერმერებს შეუქმნას თანაბარი პირობები და უზრუნველყოს მათ მიმართ დიდი სავაჭრო პარტნიორების სამართლიანი მოპყრობა (European Commission, 2023).

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შესაძლებლობა აქვთ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში მოახდინონ ამ ღირებულების ადაპტირება და იმპლემენტაცია უფრო მკაცრი რეგულაციების

გამოყენებით. თუმცა მათ არ აქვთ უფლება, შემოიღონ დაცვის იმაზე ნაკლები ხარისხი, ვიდრე ეს ღირექტივითაა გათვალისწინებული (European Commission, 2023).

მიუხედავად იმისა, რომ ღირექტივას შეიძლება ჰქონდეს არაპირდაპირი გავლენა სურსათის ფასებზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს არანაირი პროგნოზები ან ვარაუდები. დიდი ალბათობით, ღირექტივა გავლენას მოახდენს იმაზე, თუ როგორ გადანაწილდება დამატებული ღირებულება და მოგება ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს შორის, თუმცა მყიდველისთვის საბოლოო ფასზე ამან შეიძლება ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინოს. ღირექტივის საწინააღმდეგოდ, საქართველოს მთავრობის შემოთავაზებული მიდგომა ჰგავს ფასების კონტროლს და ეწინააღმდეგება იმ კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, რომლისკენაც საქართველო მიისწრაფვის.

### რას ამბობს ეკონომიკური თეორია ფასების კონტროლის შესახებ?

ფასების კონტროლი არის ინსტრუმენტი, რომელიც შესაძლებელია ორი ფორმით განხორციელდეს: ფასის ქვედა („ფსკერი“, მინიმალური) ან ზედა („ჭერი“, მაქსიმალური) ზღვრის დაწესებით. ფასის ქვედა ზღვარი გულისხმობს კანონით დადგენილ მინიმალურ ფასს – მინიმალური ხელფასი ამის ყველაზე გავრცელებული მაგალითია. ფასის ქვედა ზღვრის დაწესებისგან განსხვავებით, რაც ხელს უშლის ზედმეტად დაბალი ფასების დაწესებას, ფასების ზედა ზღვრის დაწესება ემსახურება ზედმეტად მაღალი ფასის პრევენციას და ადგენს იმ მაქსიმალურ ფასს, რომელიც გამყიდველებს შეუძლიათ დაადონ თავიანთ საქონელსა თუ მომსახურებას. მთავრობის ჩარევის თვალსაზრისით, ფასების რეგულირება გულისხმობს ფასის ზღვრის დაწესებას გარკვეულ პროდუქტზე, ისეთზე, როგორც სურსათი ან საწვავია. ეს გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული პროდუქტის გამყიდველებს არ ექნებათ დადგენილ ზღვარზე მაღალი ფასების დაწესების უფლება. **მიუხედავად იმისა, რომ მათ შესაძლოა ოფიციალურად არ ეკრძალებოდეთ მათთვის სასურველი ფასების დაწესება, მთავრობის „ირიბი მინიშნება“ ფასის შემცირების აუცილებლობაზე მაინც ნიშნავს იმას, რომ მთავრობა იყენებს ფასების კონტროლის ინსტრუმენტს ბაზრის დასარეგულირებლად.**

ეკონომიკური თეორიის მიხედვით, ფასების კონტროლს რამდენიმე უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. უპირველეს ყოვლისა, ეს ხშირად იწვევს საქონლისა თუ მომსახურების **დეფიციტს**, რადგან ფასი ხელოვნურად ეცემა საბაზრო წონასწორობის წერტილს ქვემოთ, რაც ქმნის ჭარბ მოთხოვნას. გარდა ამისა, ფასების მაქსიმალური ზღვრის დაწესებამ შეიძლება გამოიწვიოს საქონლის ან მომსახურების **ხარისხის შემცირება**, რადგან მწარმოებლებმა შესაძლოა დაიწყონ ხარჯების შემცირების გზების ძიება. გამყიდველებს შეუძლიათ ფასის გაზრდის ნაცვლად კანონს თავი აარიდონ ხარისხის შემცირებით. მომხმარებლებს შესაძლოა, აგრეთვე, მოუწიოთ საქონლისა და მომსახურების **ძიებასთან დაკავშირებული ისეთი ხარჯების გაწევა**, როგორც გრძელი რიგები ან **დახარჯული დროა**, ისეთი პროდუქტის შესაძენად, რომელზეც დიდი მოთხოვნაა, მიწოდება კი მცირეა. როგორც წესი, როდესაც დაწესებულზე უფრო მაღალი ფასის გადახდა უკანონოა, მყიდველები პოულობენ გზას, რომ ქრთამის სახით გადაიხადონ მეტი, რაც, საბოლოოდ, **ზრდის კორუფციის დონეს**. გარდა ამისა, ფასის ზედა ზღვრის დაწესებამ შეიძლება გამოიწვიოს **ვაჭრობით მიღებული საზოგადოებრივი სარგებლის დაკარგვა**, რადგან გამყიდველებს შეიძლება არ შეეძლოთ ან არ სურდეთ საქონლის ხელოვნურად დაბალ ფასად წარმოება. ფასების კონტროლის შემთხვევაში, არ შედგება



სარგებლის მომტანი ზოგიერთი გარიგება. ეს კი იწვევს საზოგადოებრივ დანაკარგს, რომელიც მომხმარებლისა და მწარმოებლის დაკარგული სარგებლის ჯამია, როდესაც ვაჭრობის შედეგად ორმხრივი სარგებლის მიღება არ მომხდარა. დაბოლოს, საფასო ზღვრის დაწესებამ შეიძლება გამოიწვიოს **რესურსების არასწორად გადანაწილება**, რადგან მწარმოებლებმა, შესაძლოა, ყურადღება დარეგულირებული ბაზრიდან სხვა, თავისუფალ ბაზრებზე გადაიტანონ, რაც მომხმარებელს ნაკლები არჩევანისა და დაბალი ხარისხის პროდუქციის წინაშე დატოვებს.

უფრო მეტიც, მოგების მარჟის კონტროლმა შეიძლება საბოლოოდ გამოიწვიოს უფრო მაღალი ფასები ზოგ სასურსათო პროდუქტზე. ეს იმიტომ ხდება, რომ შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქტი ჩვეულებრივ იყიდება უფრო დაბალი მარჟით, ხოლო მაღალი ხარისხის პროდუქტი – მაღალი მარჟით. მარჟის საერთო ზედა ზღვრის დაწესების შემთხვევაში, დაბალი ხარისხის პროდუქტიც კი შეიძლება გაძვირდეს, რადგან მაღალი მარჟის პროდუქტების გამყიდველები ვერ შეძლებენ საკმარისი მოგების მიღებას. მოწყვლადი ჯგუფები, რომლებსაც როგორც წესი, არ შეუძლიათ მაღალი ხარისხის პროდუქტის შეძენა, უფრო დაბალი ხარისხის პროდუქტებს ყიდულობენ, ამიტომ მოგების მარჟის ზედა ზღვრის დაწესებამ შეიძლება არაპროპორციულად იმოქმედოს მოწყვლად მოსახლეობაზე და დააზარალოს ის.

იმდენად, რამდენადაც ეკონომიკაში ბაზრები ურთიერთდაკავშირებულია, ერთ ბაზარზე დაწესებული ფასების კონტროლი გავლენას ახდენს სხვა ბაზრებზე, ვინაიდან ერთ ბაზარზე არსებული დეფიციტი შეფერხებასა და დეფიციტს წარმოშობს სხვა ბაზრებზეც. **ამიტომ ფასების კონტროლის ეფექტი ვრცელდება იმ ბაზრებზე, რომლებზეც არ არის დაწესებული ფასების კონტროლი, რაც საბოლოოდ მთელ ეკონომიკას აზარალებს.**

## სხვა ქვეყნების გამოცდილება ფასების კონტროლთან დაკავშირებით

ფასების კონტროლის ყველაზე გავრცელებული მაგალითებია საიჯარო ქირის კონტროლი, რის შემთხვევაშიც მთავრობა განსაზღვრავს საიჯარო ქირის მაქსიმალურ დასაშვებ ზღვარს და აგრეთვე აწესებს საიჯარო ქირის ყოველწლიური ზრდის ზღვარს. კიდევ ერთი მაგალითია მედიკამენტების ფასების რეგულირება მედიკამენტებსა და ჯანდაცვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით. ფასების კონტროლი გამოიყენება **საწვავისა და სურსათის** ფასების შემთხვევაშიც.

საიჯარო ქირაზე დაწესებული კონტროლის შედეგად, საცხოვრებელზე ძალიან დაბალი ფასების არსებობის შემთხვევაში, არასაკმარისმა მიწოდებამ შეიძლება გამოიწვიოს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის მაღალი დონე. მაგალითად, უძრავი ქონების მესაკუთრეებმა შესაძლოა ვერ უზრუნველყონ თავიანთი ქონების მოვლა-პატრონობა უძრავი ქონების შენახვისათვის საჭირო შემოსავლის არქონის გამო, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შენობების დაზიანება და საფრთხე შეუქმნას მობინადრეებს. მაგალითად, ასეა ინდოეთში, სადაც საიჯარო ქირაზე არსებული კონტროლი ამცაფრებს უძრავი ქონების ბაზრის კრიზისს.

მედიკამენტებს რაც შეეხება, წამლების ფასების შემცირება იწვევს წამლების მწარმოებელთა შემოსავლის შემცირებას, რაც მათ აიძულებს ეძებონ ხარჯების შემცირების გზები. ეს კი, როგორც წესი, იწვევს ინვესტიციების შემცირებას კვლევებისა და განვითარების მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ბაზარზე ინოვაციური პროდუქტების გამოჩენას. აშშ-ში არსებობს მედიკამენტების ფასების კონტროლის გამოცდილება. ფედერალურმა მთავრობამ 1990 წელს

მიიღო კანონი, რომელიც ზღუდავდა მედიკამენტების ხარჯებს სახელმწიფო Medicaid-ის პროგრამებისთვის (American Legislative Exchange Council, 2022). როდესაც ფარმაცევტულ კომპანიებს მოუწიათ შეეთავაზებინათ Medicaid-თვის ისეთივე ფასდაკლებული ფასები, როგორსაც სთავაზობდნენ ზოგ სხვა მსხვილ მყიდველს, საბოლოო ჯამში მათ შეამცირეს ფასდაკლებები ყველა მყიდველისთვის. ამიტომ ამ კანონმა გამოიწვია მედიკამენტების ხარჯების ზრდა მრავალი კერძო მყიდველისთვის (CATO Institute, 2001).

ენერგეტიკის ბაზრებს რაც შეეხება, აშშ-ის მთავრობამ აქტიური ჩარევა 1930 წელს დაიწყო და 1970 წლამდე გაგრძელდა. ელექტროენერჯის ფასების დასარეგულირებლად, კონკურენციის შესამცირებლად და იმპორტის გასაკონტროლებლად შემუშავდა კანონმდებლობა და აღმასრულებელი დონის დიკრეტები. 1970 წელს კანონმდებლებმა ამ ბაზრის დერეგულირება (რეგულაციების მოხსნა) მოახდინეს და ფასების კონტროლი 2008 წლის კრიზისის პერიოდშიც კი აღარ გამოუყენებიათ.

97 ქვეყნის საწვავის ბაზრების შესწავლის შედეგად ცხადი გახდა, რომ მათ 60%-ში საწვავის ბაზრები დერეგულირებულია და საცალო ბაზარზე საწვავის ფასების განსაზღვრა საბაზრო ძალების შესაბამისად ხდება (Global Petrol Prices, 2023). აღნიშნული ქვეყნების უმეტესობა ეკონომიკური განვითარების მაღალი დონით გამოირჩევა. დანარჩენი 40%-ის შემთხვევაში, რომლებიც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს წარმოადგენს, სახელმწიფო აქტიურადაა ჩართული საწვავის საცალო ბაზარზე ფასების განსაზღვრის პროცესში ფასის ზედა ან ქვედა ზღვრის დაწესებით.

მიუხედავად იმისა, რომ, ეკონომისტების აზრით, ფასების კონტროლი საფრთხეს უქმნის ბაზარს დეფიციტისა თუ მიწოდების ჯაჭვში შექმნილი სხვა პრობლემების წარმოშობით, ზოგიერთი ქვეყანა კვლავ იღებს ზომებს სურსათის ფასების დასარეგულირებლად (CNN Business, 2022). მაგალითად, ბულგარეთში იგეგმება ფასების კონტროლის მექანიზმის შემოღება მიწოდების მთლიან ჯაჭვში (CNN Business, 2022). ბულგარეთის მთავრობის მაღალჩინოსნების განცხადებით, ისინი არ დაარღვევენ თავისუფალი კონკურენციის დადგენილ პრინციპებს, არამედ იმუშავებენ იმაზე, რომ გაზარდონ მომხმარებელთა ცნობიერება მიწოდების ჯაჭვის მონაწილეების მიერ შემოთავაზებულ ფასებში განსხვავებებთან დაკავშირებით. გერმანიის დედაქალაქში, ბერლინში, მცდელობა ჰქონდათ დაეწესებინათ ზედა ზღვარი უძრავი ქონების ქირაზე. გაერთიანებულ სამეფოში დაწესდა ზღვარი, რომელსაც არ უნდა აჭარბებდეს მომხმარებლებისათვის დაწესებული ელექტროენერჯის გადასახადი და ზოგიერთი ტიპის რკინიგზის გადასახადი (CNN Business, 2022). ინგლისში აღნიშნული ბაზრები წარმოადგენს ბუნებრივ მონოპოლიებს, სადაც ამგვარი ჩარევა, შესაძლოა, სარგებლის მომტანი იყოს. ამის საპირისპიროდ, სასურსათო ბაზრები, როგორც წესი, კონკურენტუნარიან ბაზრებს წარმოადგენენ, სადაც მთავრობის ჩარევა უარყოფითი შედეგების მომტანია.

წარუმატებელი ისტორიის მიუხედავად, ფასების კონტროლი მაინც მიმზიდველია ბევრი პოლიტიკის შემქმნელისათვის, მათ შორის, საქართველოს მთავრობისთვისაც.

## არსებობს თუ არა ფასების კონტროლის ალტერნატივა?

სურსათის ფასების ინფლაციის დაძლევა რთული ამოცანაა და მისი გადაჭრა საჭიროებს მონაცემების შეგროვებასა და სიდრმისეულ ანალიზს ისეთი ინტერვენციების შესამუშავებლად,

რომლებიც თანხვედრაში იქნება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან. სურსათის ფასების სტაბილიზაციისა და ბაზარზე უარყოფითი გავლენის თავიდან ასაცილებლად შესაძლოა შემდეგი ალტერნატივების განხილვა:

**კონკურენციის ზრდა:** სურსათის მწარმოებლებსა და გამყიდველებს შორის კონკურენციის წახალისებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ფასების შემცირებას. კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობას შეუძლია მხარი დაუჭიროს ბაზარზე ახალი მოთამაშეების შესვლას, წახალისოს ინოვაციები, თავიდან აიცილოს მონოპოლიები, მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია სასურსათო ბაზრების შესახებ და მხარი დაუჭიროს საერთაშორისო ვაჭრობას.

**სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის გაზრდა:** უკეთესი ფერმერული პრაქტიკის, წარმოების საშუალებების გაუმჯობესებისა და თანამედროვე სარწყავი სისტემების მეშვეობით სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის გაზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს სურსათის მიწოდების ზრდა და შეამციროს ფასზე გარე შოკების გავლენა. სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების განხორციელებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე წვდომის გაუმჯობესების მეშვეობით შესაძლებელია პროდუქტიულობის ზრდა და წარმოების ხარჯების და, შესაბამისად, სურსათის ფასების შემცირებაც.

**სასაწყობე და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება:** სასაწყობე და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მეშვეობით შესაძლებელია მიწოდებასთან დაკავშირებული შოკების გავლენებისა და ფასების რყევების შემცირება. სათანადო სასაწყობე მეურნეობების არსებობის შემთხვევაში, ჭარბი მიწოდების დროს შესაძლებელია სურსათის შენახვა და დეფიციტის დროს მისი მიწოდება ბაზარზე, რაც ბაზრის სტაბილიზაციას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, მისი მეშვეობით იმ ადგილებიდან, სადაც სურსათის სიჭარბეა, შესაძლებელია სურსათის ტრანსპორტირება ისეთ პუნქტებში, სადაც მისი დეფიციტია, რაც შეამცირებს რეგიონულ უთანასწორობასა და ფასების რყევებს.

**სურსათის ნარჩენების შემცირება:** ყოველწლიურად დიდი ოდენობით სურსათის ნარჩენების არსებობა ხელს უწყობს სურსათის ფასების ზრდას. სურსათის ნარჩენების შემცირება შენახვის უკეთესი პირობებით, ტრანსპორტირების გაუმჯობესებით და სურსათის უკეთესი გადანაწილებით ხელს შეუწყობს სურსათის ფასების შემცირებას.

**რისკის მართვის ინსტრუმენტების გამოყენება:** მთავრობას შეუძლია წახალისოს რისკის მართვის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა საკონტრაქტო ურთიერთობები, დაზღვევა ან ფორვარდული კონტრაქტები, რათა დაეხმაროს ფერმერებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მართონ სურსათის ფასების ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკები.

**ბაზრის გამჭვირვალობის ხელშეწყობა:** ბაზრის გამჭვირვალობის ხელშეწყობა სურსათის წარმოების, მოთხოვნისა და ფასების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების გზით, ხელს უწყობს სურსათის ფასებთან დაკავშირებული გაურკვევლობისა და სურსათის ფასების რყევების შემცირებას. მიწოდების ჯაჭვის მონაწილეებს შორის დამატებული ღირებულების განაწილების შესახებ ინფორმაციის შეგროვება შეიძლება სასარგებლო იყოს მიწოდების ჯაჭვში სამართლიანი ვაჭრობის პრაქტიკასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის ქვეყნებში ახალი ღირებულების



დანერგვით მიღებული შედეგების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ვაჭრობის პრაქტიკაზე მისი პოტენციური ზეგავლენის შეფასება.

**საიმპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია:** იმპორტის ბაზრების დივერსიფიკაციამ შეიძლება გამოიწვიოს სურსათის ფასების რყევებისადმი უფრო მეტი მედეგობა. დივერსიფიკაცია ამცირებს ერთ მიმწოდებელზე ან რეგიონზე დამოკიდებულებას, ზრდის კონკურენციას, უზრუნველყოფს სურსათის ალტერნატიულ წყაროებზე წვდომას, ამცირებს ადგილობრივ მიწოდებასთან დაკავშირებულ შოკებს და ფასების რყევების ზეგავლენას. დამოკიდებულება ერთ მიმწოდებელსა თუ ბაზარზე, მიწოდების ჯაჭვში არსებული ნებისმიერი შეფერხების დროს, შესაძლოა ფასების ზრდას იწვევდეს (მაგალითად, საქართველო დამოკიდებულია რუსეთიდან ხორბლის ფქვილისა და მზესუმზირის ზეთის იმპორტზე, ამიტომ რუსეთის მიერ დაწესებულმა სავაჭრო შეზღუდვებმა სურსათის ფასების ზრდა გამოიწვია). გარდა ამისა, იმპორტის დივერსიფიკაციამ შეიძლება გაზარდოს კონკურენცია მომწოდებლებს შორის, რაც დროთა განმავლობაში ფასების დასტაბილურებას გამოიწვევს. დივერსიფიკაციამ შესაძლოა შექმნას არბიტრაჟის შესაძლებლობებიც, რაც მყიდველებს საშუალებას მისცემს ისარგებლონ ფასთა შორის არსებული განსხვავებებით და შეამცირონ ფასების ცვლილების გავლენა.

**ენერჯის ტრადიციულ წყაროებზე დამოკიდებულების შემცირება:** ენერჯის ალტერნატიული წყაროების პრიორიტეტიზაცია გადამწყვეტია გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის. ენერჯის ფასების რეგულირებამ შესაძლოა შეაფერხოს ენერჯის ალტერნატიული წყაროების მოძიება და ადაპტაცია, რაც საქართველოსთვის, სადაც ენერჯის ალტერნატიული წყაროების გამოყენება ისედაც საკმაოდ ნელა მიმდინარეობს, კიდევ უფრო დიდი გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

ზემოთ ჩამოთვლილი ალტერნატივები ძირითადად მიმართულია გრძელვადიან პერიოდზე. დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის შემთხვევაში კი აუცილებელია გაზრდილი ფასებით გამოწვეული ტვირთის შემსუბუქება მყისიერად, მოკლევადიან პერიოდში. ამ შემთხვევაში გამოსავალი შეიძლება იყოს სოციალური ტრანსფერების ინდექსირება.

რომ შევაჯამოთ, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დონის რეგულირება შეიძლება საჭირო გახდეს ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველსაყოფად და მომხმარებლების დასაცავად, რესურსების განაწილებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ყველაზე ეფექტიან გზად საბაზრო ეკონომიკა ითვლება. ამიტომაც მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით შემუშავება და ამ პროცესში კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობა.

## გამოყენებული ლიტერატურა

American Legislative Exchange Council, 2022. ხელმისაწვდომია: <https://alec.org/article/the-truth-about-price-controls-and-prescription-drug-spending/> მარტი, 2023.

Business Media Georgia, 2023. ხელმისაწვდომია: <https://bm.ge/ka/article/regulirebis-rამეგანizmebs-itvaliswinebs-sursatis-fasebis-shemcirebistvis-shemushavebuli-kanonproeტი/127427>. თებერვალი, 2023.

CATO Institute, 2001. ხელმისაწვდომია: <https://www.cato.org/commentary/problems-price-controls>. მარტი, 2023.

CNN Business, 2022. ხელმისაწვდომია: <https://edition.cnn.com/2022/01/18/economy/price-controls-inflation/index.html> თებერვალი, 2023.

European Commission, 2019. ხელმისაწვდომია: [https://agriculture.ec.europa.eu/common-agricultural-policy/agri-food-supply-chain/unfair-trading-practices\\_en](https://agriculture.ec.europa.eu/common-agricultural-policy/agri-food-supply-chain/unfair-trading-practices_en) მარტი, 2023.

Global Petrol Prices, 2023. ხელმისაწვდომია: <https://www.globalpetrolprices.com/articles/42/> თებერვალი, 2023.

# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute

## ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის ეკონომიკის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი საქართველოში. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება საჯარო პოლიტიკის ირგვლივ. ISET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას. ინსტიტუტის მიზანია, საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით წვლილი შეიტანოს ეკონომიკის, განათლების, დემოკრატიული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

---

## ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

[www.iset-pi.ge](http://www.iset-pi.ge)  
[iset-pi@iset.ge](mailto:iset-pi@iset.ge)  
+995 322 507 177